თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2025 წლის 3 დეკემბრის
მორიგი სხდომის
ოქმი № 18

ქ. თერჯოლა 3 დეკემბერი 2025 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: 1.სოსო ჩაფიჩაძე, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ჯემალ ისაკაძე, 4. სერგი ჯიხვაშვილი, 5. გოჩა ვერულაშვილი, 6. გიორგი ბარათაშვილი, 7. ბადრი ბუცხრიკიძე, 8. ბიძინა ბუცხრიკიძე, 9. ნინო ოქრუაძე, 10. ზურაბ ჩხიკვაძე, 11. ლაშა ლანჩავა, 12. ეკა ბერძენიშვილი, 13. ლაშა გურგენიძე, 14. თემური ქოჩიაშვილი, 15. ნინო მახათაძე, 16. მაკა ყიფშიძე, 17. ნატო კვეტენაძე, 18. ჯანო რობაქიძე, 19. ერეკლე კირკიტაძე, 20. ელისო მურადაშვილი, 21. გიორგი თურქაძე, 22. შალვა ჭანკვეტაძე , 23. მამული კოვზირიძე, 24. გიორგი ყაზაიშვილი, 25. გიორგი ბრეგაძე, 26. გიორგი ქასრაშვილი, 27. რამაზი ლორთქიფანიძე, 28. მირზა აფრიდონიძე, 29. მანუჩარ ფანჩულიძე, 30. გიორგი ბერეკაშვილი, 31. ნოდარი ხოხიაშვილი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1.ომარ ჯიხვაშვილი, 2. იუზა უგრეხელიძე, 3. გრიგოლ გიორგაძე 4. ვლადიმერ მაკარიძე.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 35 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 35 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 31 წევრი
კვორუმი: 18 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მერის პირველი მოადგილე ზვიად ბაზაძე, მერის მოადგილე მირზა ქოჩიაშვილი, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები.

სხდომა დაიწყო 12 ⁰⁰ სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 13 ⁰⁰სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282533546, 01.12.2025 წ.);

/მომხს.ზ.ჩხიკვაძე/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრის შესახებ;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

3. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2026-2030 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282533515, 01.12.2025 წ.);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

4. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური დახმარების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის № გ-29.292501517 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282533560, 01.12.2025 წ.);

/მომხს.ლ.ლანჩავა/

5. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის №გ-29.29250158 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282533560, 01.12.2025 წ.);

/მომხს.ლ.ლანჩავა/

6. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის №გ-29.29250152 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282533560, 01.12.2025 წ.);

/მომხს.ლ.ლანჩავა/

7. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის №გ-29.292501516 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282533560, 01.12.2025 წ.);

/მომხს. ლ.ლანჩავა/

8. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის №გ-29.29250154 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282533560, 01.12.2025 წ.);

/მომხს.: ლ.ლანჩავა/

9. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის №გ-29.29250159 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282533560, 01.12.2025 წ.).

/მომხს.: ლ.ლანჩავა/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -31, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა ,საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩხიკვაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი -თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია საშემოსავლო ნაწილის გაზრდამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ .
ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 836.4 ათასი ლარით და შეადგენს 37881.7 ათას ლარს.
საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 836.4 ათასი ლარით: (გრანტი გაიზარდა 323.6 ათასი ლარით და სხვა შემოსავლები 512.8 ათასი ლარით (ჯარიმები, სანქციები და საურავები)). ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 122.7 ათასი ლარით. მ/შორის:
საკრებულოს დაფინანსება შემცირდა 12.0 ათასი ლარით.

მერიის დაფინანსება შემცირდა 10.0 ათასი ლარით.
მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვის დაფინანსება შემცირდა 30.7 ათასი ლარით.
კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი შემცირდა 5.0 ათასი ლარით.
გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა შემცირდა 10.0 ათასი ლარით.
გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია ექსპლოტაციის ხარჯი შემცირდა 5.0 ათასი ლარით.
გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი შემცირდა 35.0 ათასი ლარით (სტიქიის ეკონომია).
კულტურის სახლების დაფინანსება შემცირდა 6.5 ათასი ლარით.
მუზეუმების დაფინანსება შემცირდა 8.5 ათასი ლარით.
ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 959.1 ათასი ლარით. მ/შორის:
წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის დაფინანსება გაიზარდა 15.0 ათასი ლარით.
კომუნალური მეურნეობის განვითარება დაფინანსება გაიზარდა 35.0 ათასი ლარით.
სოფლის მხარდაჭერის პროგრამების დაფინანსება გაიზარდა 28.0 ათასი ლარით.
დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 250.0 ათასი ლარით.
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსება გაიზარდა 200.0 ათასი ლარით.
საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირების დაფინანსება გაიზარდა 351.1 ათასი ლარით (სკოლის ტრანსპორტირების დაფინანსება.
მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება გაიზარდა 10.0 ათასი ლარით.
სპორტული სკოლის დაფინანსება გაიზარდა 15.0 ათასი ლარით.
სახელოვნებო სკოლების დაფინანსება გაიზარდა 5.5 ათასი ლარით.
ბიბლიოთეკების დაფინანსება გაიზარდა 9.5 ათასი ლარით.
სოციალური პროგრამების დაფინანსება გაიზარდა 40.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-31, წინააღმდეგი-0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება №23, 3.12.2025 წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრის შესახებ განკარგულების პროექტი - ხელშეკრულებით დასაქმებულთა რიცხოვნობა საკრებულოსა და მერიაში იზრდება თითო ერთეულით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 31, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრის შესახებ განკარგულების პროექტი(განკარგულება№გ-29.2925337001,03/12/2025წ.).

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2026-2030 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი-თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 13 სექტემბრის №46 14 განკარგულებით დამტკიცებული აქვს 2020-2025 წლების ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების სამოქმედო გეგმა, საიდანაც ნაწილი პროექტებისა უკვე განხორციელებულია, ნაწილი კი მიმდინარეობს.
დღეის მდგომარეობით, საჭიროა ახალი სამოქმედო გეგმის დამტკიცება 2026-2030 წწ, სადაც ამოღებული იქნება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული უკვე დასრულებული ინფრასტრუქურული პროექტები, ასევე საჭიროა ახალი პროექტების დამატება, კერძოდ:

1. სოფ. ზედა სიმონეთში სერგო და დავით კლდიაშვილების სახლმუზეუმებიდან ბედიაურთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
2. სოფ.ჭოგნარში ცენტრალური სავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
3. საზანოს ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. 26 მაისში ვარდოსანიძებისა და კვანტიძეების უბნის მოწყობა.

წარმოდგენილ პროექტებს კომისიის გადაწყვეტილებით დაემატა პროექტები:

1. ქვედა სიმონეთში ცერცვაძეები, გვენეტაძეების უბნიდან სათემოს დამაკავაშირებელი გზის რეაბილიტაცია.
2. სოფელ სეფარეთში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია.
3. სოფელ ახალთერჯოლაში მეტლახის უბანში ნიკოლაძეები, გიგაშვილების გზის რეაბილიტაცია.
4. სოფელ ახალთერჯოლაში სახელაშვილების უბანში არსებული შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია.
5. სოფელ რუფოთში დიაკონიძეების უბანში არსებული გზის რეაბილიოტაცია;
6. სოფელ ჩხარში დათიაშვილების უბანში არსებული გზის რეაბილიტაცია.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი პროექტი კენჭისყრაზე დააყენა კომისიის მიერ დამატებული პროექტებით.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 31, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2026-2030 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი(განკარგულება №გ-29.29253378, 03/12/225 წ.).

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ლანჩავამ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური დახმარების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის № გ-29.292501517 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური დახმარების 2025 წლის პროგრამის'' ბიუჯეტია 108 000(ასრვა ათასი) ლარი სარგებლობს 34 ბენეფიციარი, რომლებსაც ყოველთვიურად ეძლევათ 300 (სამასი) ლარი. საჭიროა პროგრამის ბიუჯეტის გაზრდა 9600(ცხრაათას ექვსასი) ლარით და გახდება 117600(ასჩვიდმეტიათას ექვსასი) ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -31, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური დახმარების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის № გ-29.292501517 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29253372, 03/12/2025 წ.).

5.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ლანჩავამ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის №გ-29.29250158 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი -,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2025 წლის პროგრამის '' ბიუჯეტია

337 000(სამასოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარი პროგრამით ისარგებლა 1059 მოქალაქემ. ამ დროისათვის პროგრამის ბიუჯეტი მთლიანად გახარჯულია. ამიტომ საჭიროა ბიუჯეტის გაზრდა 22 000(ოცდაორი ათასი) ლარით და გახდება 359 000(სამასორმოცდაცხრამეტი ათასი) ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -31, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის №გ-29.29250158 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29253373, 03/12/2025 წ.).

6.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ლანჩავამ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის №გ-29.29250152 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 68 000(სამოცდარვა ათასი) ლარი სარგებლობს 63 მარტოხელა მშობელი საჭიროა პროგრამის ბიუჯეტი შეივსოს 2800(ორიათას რვაასი) ლარით და გახდება 70800(სამოცდაათიათას რვაასი)ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -31, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის №გ-29.29250152 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი(განკარგულება №გ-29.29253374. 03/12/2025 წ.).

7.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ლანჩავამ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის №გ-29.292501516

განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტი მცირდება 1000 ლარით და ემატება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამას.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -31, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის №გ-29.292501516 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი(განკარგულება №გ-29.29253375, 03/12/2025 წ.).

8.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ლანჩავამ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის №გ-29.29250154 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 52 000(ორმოცდათორმეტი ათასი) ლარი სარგებლობს 58 პირველი ჯგუფის უსინათლო, სააჭიროა 2800(ორიათას რვაასი) ლარის დამატება და აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტი გახდება 54 800(ორმოცდათოთხმეტიათას რვაასი) ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -31, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის №გ-29.29250154 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29253376, 03/12/2025 წ.).

9.

მოისმინეს: მომხსენებელმა,საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ლანჩავამ ბიუროს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის №გ-29.29250159 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი -პროგრამის ბიუჯეტია 249 000 ლარი. ამ დროისთვის გახარჯულია მთლიანად, დახმარება გაეწია 1588 მოქალაქეს. შემხვედრი საჭიროებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია გაიზარდოს აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტი 3800 ლარით და გახდეს 252 800 ლარი აქედან 100 000 ლარი ემატება „თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის“ - ბიუჯეტია 14 000 ლარი, კლების ხარჯზე. რომლის ბიუჯეტი დარჩება 13 000 ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -31, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის №გ-29.29250159 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29253377, 03/12/2025 წ.).

სხდომის თავმჯდომარემ სოსო ჩაფიჩაძემ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 3 დეკემბრის საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
სოსო ჩაფიჩაძე